



**დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №74**

**2015 წლის 25 აგვისტო**

**ქ. დუშეთი**

**ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტის მიღებაზე თანხმობის მისაღებად საქართველოს მთავრობისთვის შუამდგომლობით მიმართვისთვის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების და ამავე კოდექსის მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ევროკავშირის მიერ პროექტის „ურბანული განვითარების სტრატეგიების შემუშავება ისტორიულ ქალაქებში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით (COMUS)“ ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი გრანტის 10825 (ათიათას რვაას ოცდახუთი) ევროს ექვივალენტი ლარში მიღებაზე თანხმობის მისაღებად საქართველოს მთავრობისათვის შუამდგომლობით მიმართვისთვის.

2. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი